ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4030411

ნომერი: AR1607944

თარიღი : 12.06.2018

გაცემის თარიღი : 26.06.2018

გაცნობის თარიღი : 29.06.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ყუშიტაშვილი , N 84;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნანა მურადაშვილი პ/ნ 01012031362
- თბილისი ვაზისუბნის IV მ/რ II კვ. კორ. 10 ბ. 54

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1607944 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, ქ. თბილისში, ქუჩა ყუშიტაშვილი, #84, მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკ. კოდი N01.10.12.031.026) ნებართვის გაცემას და ითხოვთ ადგილზე გარემოებების შესწავლას.
პასუხად გაცნობებთ, რომ 2018 წლის 30 მაისს #AR1604872 ელექტრონული განცხადებით, სამსახურს მომართა

მოქალაქე თემურ ვაშაკიძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, ქუჩა ყუშიტაშვილი, #84, მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკ. კოდი N01.10.12.031.026) (თქვენს მიერ რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად მასში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რის გამოც ამ ეტაპზე აღნიშნულის ნებართვის გაცემა არ მომხადარა.
თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით.
ამასთან განგიმარტავთ, იმისათვის რომ დაცული იქნას როგორც ნებართვის მაძიებლის, ასევე იმ პირების ინტერესები, რომელთა კანონით დაცულ ინტერესებზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს სამშენებლო სამუშაოები, საჭიროა თქვენს მიერ წარმოდგენილი „შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტი“-ზე ნათლად და გარკვევით დაფიქსირდეს რატომ ეწინააღმდეგებით კონკრეტულ სამშენებლო სამუშაოებს. (რა ნორმებს ეწინააღმდეგება შესათანხმებელი სამშენებლო სამუშაოები) და რა ზიანი შეიძლება მოგადგეთ განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოებით. საჭიროების შემთხვევაში ასევე წარმოდგენილ უნდა იქნას თქვენს მიერ დაფიქსირებული გარემოებების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია.
სამსახური მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების თაობაზე წარმოდგენილი კონკრეტული განცხადების განხილვისას, განიხილავს ამ ობიექტთან დაკავშირებით თქვენ მიერ წარმოდგენილ შეტყობინებასაც, ზეპირი მოსმენის სხდომის ჩატარების გარეშე. რის შედეგადაც სამსახური მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას ყველა დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე.
ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ- გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.